ГАЗЕТИ ДІРЕ:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს ტ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი — საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი — 1877—1886 წელიწადი


## გაზეთი „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ 1-ლის ივლისიდამ წლის დამლევამდელის 6 მან.

ტფილისი, 19 ივნისს

ბალკანიის ნახევარ კუნძულის საქმე და ნამეტნავად ბოლგარრუმელიისა თუმცა დიპლომატიამ როგორღაც მიაფუჩეჩა, მაგრამ ზოგიერთი წვერი გარედ დარჩა და ამ წვერს ძალიან თამამად და მოურიდებლად ათამაშებს ბოლგარიის მთავარი ალექსანდრე. რუსეთი, რომლისაგანაც ასე ძლიერ დავალებულია ბოლგარია და თვით ალექსანდრე მთავარიც, გულ-გრილად არ დაუწყებს ცქერას ამისთანა თამამ ქცევასა იმ ქვეყნისას, რომელიც რუსეთის სისხლით, ფულით და ჯვაწლით დღეს აღორძინებულია. ამას ცხადად ამტკიცებს გუშინწინდელი დეპეშა, რომელმაც გადმოგვცა ამ საგანზედ აზრი იმისთანა წინ-დამხედავის და ფრთხილის გაზეთისა, როგორიც «Journal de St.-Pétersbourg»-ია. მეტად საყურადღებო სიტყვებია ამ გაზეთის მიერ ნათქვამი და მით უფრო ფასი ედება ამ სიტყვებს, რომ თვით გაზეთი რუსეთის დიპლომატიური გაზეთია და მაშასადამე ყოველს მისგან წარმოთქმულს სიტყვას თავისი ფხა და რიხი უნდა ჰქონდეს ყველასათვის და ნამეტნავად ევროპის დიპლომატიისათვის.

ევროპის დიპლომატიამ ამ ბოლოს დროს რამდენისამე მაგალითით გული დააჯერა, რომ დღეს რუსეთი დიდის მხნეობით და უკან დაუხევლად მისდევს საგარეო საქმეს, საცა კი მისი ცხადი ინტერესია და არავის არას უთმობს. ამ მხრით შავს-ზღვაზე ფლოტის გამართვა რუსეთის მიერ ძლევა-მოსილი ბიჯი იყო და თუმცა ზოგიერთს სახელმწიფოს ვერაფრად ეჭაშნიკა, მაგრამ ვერაფერი შეჭბედეს და ვერაფერი ჰკადრეს. საბერძნეთის საქმეშიაც რუსეთმა თავისი ერთხელ თქმული სიტყვა ძლევა-მოსილობით გაიყვანა და ეს სიტყვა ისეთის სიმტკიცით და სიმხნით იყო წარმოთქმული, რომ ევროპა იძულებულ შეიქმნა ალყა შემოეხსნა საბერძნეთისათვის რუსეთის სიტყვისამებრ. ამ სახით ენერგიულმა პოლიტიკამ რუსეთისამ დიდი სახელი მოიპოვა ევროპის თვალში და დღეს რუსეთის სიტყვას, ეგრედ წოდებულ „ევროპის კონცერტში“ დიდი პატივი და მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ეს იმიტომა ვსთქვით, რომ ცხადად წარმოგვედგინა რა დიდს ზედ-მოქმედებას იქონიებს გუშინწინდელი დეპეშა, რომელმაც „Journal de St.-Petersbourg“-ის სიტყვა გადმოგვცა. იგი გაზეთი ამბობს, რომ ალექსანდრე მთავარმა დაარღვია არამც თუ ორგანებური წესდება, არამედ ევროპის ხელ-შეკრულობა და გარიგებაცაო. მთავარმა მოიწვია სოფიაში წარმომადგენელთა კრება და ამით დაამტკიცა, რომ იგი არაფრად აგდებს ევროპასა და პირ-და-პირ არღვევს ოსმალოს უფლებასაო. ოსმალოც თითქო კეთილის თვალით უყურებს ყოველს ამასა და ეს აძლიერებს ბევრის ეჭვსა მასზედ, რომ მთავარი ოსმალოს თანხმობით იქცევა ასეო. არის თუ არა ამ ორთა შუა თანხმობა, ეს არ ვიცითო, ხოლო გზა, რომელსაც დასდგომიან კონსტანტინეპოლში, უშედეგოდ არ შესაძლოა დარჩესო... საქმე ის არისო, რომ კონფერენციის განაჩენს აშკარად არღვევენ სოფიაში და ეს აინუნშიაც არ მოსდისთ კონსტანტინეპოლშიაო. რაკი საქმე ასეაო, ამბობს ბოლოს გაზეთი, ძნელია სამძიმოდ საფიქრებელი განსაცდელი აცდენილ იქმნასო.

ამისთანა დასკვნა დიპლომატიურ გაზეთისა, რომელიც თვისის მოვალეობისამებრ ერიდება ხოლმე ყოველს გაუფთხილებელს სიტყვას და მინამ ამისთანა მძიმე საგანზედ ერთს სიტყვას იტყვის, ჯერ ათასჯერ უნდა ასწონოს და გაზომოს,—მეტად ღრმად დამფიქრებელია და მეტად საგულის-ყურო. ამ დასკვნიდამ სჩანს, რომ ფთხილი გაზეთი დიდს განსაცდელს მოელოდინება, თუ ბოლო არ მოელო ალექსანდრე მთავრის ქცევას, რომელსაც ოსმალო თითქო განგებ უჩუმდება და ხმას არ იღებს. ხოლო ეს კი აშკარაა, რომ ალექსანდრე მთავარი თავისას არ იშლის, ოსმალოც ყურს არ იბერტყავს და მიზეზი სამდურავისა ასეთის ძლიერის სახელმწიფოსი, როგორც რუსეთია, დღეს აქამომდე არ არის მოსპობილი. თუმცა ბოლონდელ დეპეშამ მოგვიტანა ამბავი, რომ პასუხ-საგებელ ადრესით საერო კრებამ ბოლგარ-რუმელიისამ წარმოსთქვა, რომ სრული იმედი გვაქვს სახელმწიფოთა სულ-გრძელებისა და ნამეტნავად დიდის რუსეთისაო, რომელმაც გაანთავისუფლა ბოლგარია და მრავალ-გვარი სიკეთე მოგვანიჭაო, მაგრამ არა გვგონია ამ ლაღადებამ რუსეთის მიმართ შორი მანძილი გაიაროს, თუ ბოლგარია და მისი მთავარი საგარეო პოლიტიკას ძლიერის რუსეთის სურვილს არ შეუწონენ. თუ არ შეუწონენ, ზემომოყვანილ გაზეთის სიტყვით, დიდი განსაცდელი ძნელად ასაცდენიაო. და ეს, რასაკვირველია, არავისთვის არ უნდა იყოს სასურველი.,

## ახალი ამბავი

*** ჩვენს სილნაღის მაზრაში ძრიელ კარგი მოსავალი იქნება, ნამეტნავად ბაღ ბოსტნეულობისა: რომ იტყვიან „დღეს და გადმოდისო“, სწორედ ისეა, მაგრამ გრიგალმა დიდი ზარალი მისცა ხე-ხილსა. მეიდანზე ფქვილები ბევრი შემოდის; ფუთი 95 კ. —1 მან. 30 კაპ. ნაკლებ არ იყიდება. ეხლა 1 მან. 30 კაპ. არის; გამსყიდველებსაც ეს უნდათ. ყოველ დღე აუარებელი კიტრი შემოდის სოფლებიდგან ქალაქ სილნაღში; დუქნების წინ დიდრონი ზვინები აყენია.

13 ივნისს, 9 საათზე, ამოვარდა დასავლეთის ქარი, ჯერ მძიმედ ჰქროდა და შემდეგ გაძრიელდა,; იქროლა მეორე დღის 9 საათამდინ, ხეხილი ძრიელ დააზარალა და თითქმის მთლად გაბერტყა, თვით ხეებიც მილეწ-მოლეწა ზოგ ადგილს; ზოგან კი გაანახევრა ნაყოფი ხეხილისა; ახლო-მახლო სოფლების ვენახებში ეაზები წააქცია. ნოვო-ალექსანდროვკის გალავნებსაც დიდი ზარალი მისცა ქარმა. მარტო გათიბული თივა, ამბობენ, 5.000 მანათისა მოგვტაცაო. ყანები სულ არიე-დარიეა და დაწეწაო, ასე რომ, რაც ერთი მუშა ერთ დღეს მომკიდა, ეხლა ვერც სამ დღეს გაათავებსო.

სილნაღის სომეხთა სარწმუნოების წმ. კარაპეტის ეკლესიის სამრეკლოს აეხადა სახურავი და გადმოაგდო უშველებელი ჯვარი. ჯვარი და ქვა სამ გოჯამდე მიწაში ჩაჯდნენ. სახლებს კრამიტები დაუმტვრია, ზოგს სახურავები აგლიჯა, ხეები ძირიანად დაგლიჯა.

## ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

### ᲡᲐᲩᲘᲜᲝ

(დალალ-აზნაური)

### ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

(დასასრული*)

დათუნა დააცქერდა ჭაპან-წყვეტით მოგროვილს ფულსა, დიდხანს უყურა, თითქოს იმათში კითხულობდა თავის წარსულსა. ერთი საზარლად ამოიოხრა და წამოიძახა: ეშმაკის გაჩენილს გეძახიან შენ ქრისტე ღმერთის ჯვარზე ამგებო და ეშმაკსაც უვარდები ხელში; შეერგე იმას ნავთად და ცეცხლად.

თითქოს იმ წუთას თინათინს სდომებოდეს მწუხარე ფიქრებისაგან ქმრის გამოყვანა, უცებ ჰკითხა:

— კაცო, დღეს შენ იქნება არა გიჭამია-რა. დაბძანდი ახლავე მოგვართმევ ღვინის დასალევს.

თინათინ მიეარდა თახჩას, საცა ყველი და ღორის კანჭი ეგულებოდა.

— ჰო, კარგი იქნებაო, უპასუხა ქმარმა ფიქრებიდან გამორკვეულმა.— დღეს, მართლაც, ხემსი არ ჩამიდვია პირში.

— უი, შენს თინათინს! იმ წყეულებს აკი უფოთარებიათ!.. თახჩა გაუტეხიათ, რაც იყო, ყველაფერი გამოულაგებიათ და შეუთანთქლავთ. ქვე ნავთი და ცეცხლი რომ შეეჭამათ, ის არა სჯობდა?!. კაცო, მართლა!—შენთვის კი არ მითქვამს! შენს ნაჩალიკთან ყოფნაში იასაულები შემომიცვივდნენ, გულქანის წაყვანა უნდოდათ. პატარძლები ცალკე დამიფთხეს და სახლი ცალკე დამიწიოკეს; ქვე აღა-მამად-ხანობა მოგვიბრუნდა და ეს არის.

— გლეხის გაჩენაში მადლი არ ურევია, ჩემო თინანო.

თინათინ გავარდა გარეთ და ერთს წამსაც არ გაუვლია, მეზობლიდან მჭადი და ყველი მოარბენინა, ღვინო ამოიღო და ქმარს მოუტანა.

დათუნა რომ მეუღლის ამისთანა გულ-შემატკიერობას ხედავდა, ძალიან ენუგეშა.

— შენ გენაცვალოს ჩვენი კუთხის დედა-კაცები, ჩემო თინანო. შენმა გარჯამ სული ჩამიბრუნა. ყოველთვის დალოცვილი იყავი, ღმერთმა გაკურთხოს.

— აბა, ხელათ ორიოდე სტაქანი ღვინო გადჰკარი, წადი საჩქაროდ ნაჩალიკთან, მიახალე ეგ ფულები და დროით გამობრუნდი. მე აქ კარგს ვახშამს დაგახვედრებ.

დათუნამ გადჰკრა რამდენიმე სტაქანი ღვინო, ჩაიკრა გულში თავის თინანი და წამოვიდა ნაჩალიკთან.

***

იასაულებმა რომ დაიგვიანეს, შინ ნაჩალიკს სიავარულის სევდები აუტყდა. სადილს უკან ძილი სჩვეოდა. აღარც დაიძინა და წამის-წამს აივანიდან ძირს ჭალებზე იცქირებოდა: სულ ამას ფიქრობდა, აბა, თუ მოდიან და მოჰყავთ დედალი ხოხობიო. იასაულები მაინც არსად იყვენ. ნაჩალიკი თან-და-თან ბრაზდებოდა. უფრო ხშირად ერთი შავი ფიქრი უტრიალებდა თავში: ვაი, თუ ცუდმა ნაგეშმა მეძებრებმა პირველ თვითონ გაჰკრან კბილი ნანადირევს, უკეთესი ლუკმა თვითონ ირგონ და ნახინკლები პატრონს მოუტანონო. ამ სევდასა და ფიქრებში რომ ჩავარდა ნაჩალიკი, მე ვანუგეშე: მად სხვა არაფრის ფიქრი არ არის გარდა ერთისა, რომ ვაი თუ იასაულებს ადრიანად შეუტყეს პატარძლებმა განზრახვა და დროით უშველა თავს გულქანმა.

იმან მიბძანა, ერთი შეჯექი ჩემს ბედაურზე და ჩაიჭერი, შეიტყვე, რა ვამბაიაო. როგორც აივნის კიბეზე ჩამოვდგი ფეხი, იასაულებიც გამოჩნდენ. ვახარე ნაჩალიკს იმათი მოსვლა. მაშინვე შემომძახა, პატარძალი მოჰყავთ თუ არაო?—არა-მეთქი.

— უნდა გავამათრახო, ეგ წუნკალები!.. განა არ ვიცი, იქ ღვინოს ჩაუჯდებოდენ და პატარძლის ჯავრიც სულაც არ ექნებოდათო. ამ დროს შემოვიდენ შეჭინჭღლილებული იასაულები. ერთს იმათგანს მაინც პირში ენა აღარა ჰქონდა და ფეხიც ერეოდა სიმთვრალისაგან.

ნაჩალიკს ბრაზი მოერია და შესძახა მაღალის ხმით: როგორ გაბედეთ ტუსაღის გაშვებაო. ახლავე ღუბერნატართან გაგზავნით ყარაულებს ქვეშო, ოც-და-ოთხს საათს სალდათის მაზარას ჩავაცმევინებ და ციმბირში გაგამგზავრებთ თქვენ ასეთო, თქვენ ისეთოო!..

იასაულები მოჰყვენ ბლიყინს და უხეიროდ ქშინავდენ, ღვინის სუნი სდიოდათ. იმათ იმ დროს ვერ წარმოედგინათ, ან თკითონ იასაულებს რა ამისთანა სახელმწიფო დანაშაული მიუძღოდათ, ან პუტკუნა პატარძალი რა ამისთანა თოკიდან გაქცეული ტუსაღი უნდა ყოფილიყო?!.

წაუხდა ნაჩალიკს პლანები, საღერღელი აეშალა და ვერა მოეფიქრებინა-რა. ზოგს მიზეზს თვითონ დათუნასაც ადებდა და კბილებს უკრაჭუნებდა. მე ეს მიხაროდა, ვფიქრობდი, იმას გაურისგავს არ გაუშვებსმეთქი.

ჯავრის მოსაქარვებლად ნაჩალიკი შევარდა ოთახში, ჩამოიღო მათრახი, ერთი თუ ორი გადაუჭირა თითო იასაულს და ჯიგლიგით ჩამოაგდო კიბეზე. მერე მოტრიალდა ჩემკენ და სასო-წარკვეთილებით წამოიძახა: ამ წუნკალებმა ეს რა მიყვეს, პირიდან ლუკმა გამაგდებინესო!..

მე ვანუგეშე. არ იქნება, რომ ხოხობი ადრე თუ გვიან ჩვენს დაგებულს ძუაში არ გაებას-მეთქი.

— მე ახლა მინდოდაო, ჯავრიანად შემომძახა.

— ერთ გზობისად ხონთქარსაც არ აუსრულდება-მეთქი ყოველისფერი.

ამას შემდეგ დიდხანს იარა ნაჩალიკმა აივანზე, სანამდის სულ არ დამშვიდდა.

***

მზე დაწურული იყო. საღამოს სუნმა მოატანა და დათუნაც შემოვიდა ნაჩალიკის ეზოში. ის კიდეე აივანზე დადიოდა ქოშებით. როგორც კი დათუნას თვალი მოჰკრა, მაშინვე ჩემსკენ გამოტრიალდა, მიბძანა, ბიჭები ჩამალეო ოთახში და როზგები შემოატანინეო.

მროზგავი ბიჭები ცალკე ჰყავდა ნაჩალიკს განწესებული; ამათი მოვა-

*) იხ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ 1886 წ. № 122, 123 და 130.

*** ამას წინად სოფ. საქობოს ეწვია დიდი უბედურობა. მომკილს და შემოსულს მოუმკელ ყანებს საიდანღაც გაუჩნდა ცეცხლი და გადაბუგა. ხალხის მეცადინეობით როგორც იყო გააქრეს გაძლიერებული ცეცხლი, მაგრამ, როგორც ამბობენ, რამოდენიმე დღიური მშვენიერი ყანა დაიწვაო! ამბობენ, ერთ გლეხს 700 ათეული მზად მომკილი დაეწვაო. ათეული ჩვენებურად 11 ძნაა და ამისთანა კარგ მოსავალში ძნას ერთ ლიტრაზე ნაკლები ხორბალი არ გამოუვა. მაშ ამ ერთ გლეხს 770 კოდი პური დასწვია; ახლა სხვებისა რამდენი იქნება, ვინ იცის; ერთის სიტყვით, ამ ცეცხლისაგან ზარალი ისე დიდია; რომ ნახევარი საქობოს საზოგადოება ლამის მშიერი დარჩეს.

*** ქუთაისის გემნაზიაში წლეულს სულ 28 შეგირდი ყოფილა მე-VIII კლასში ამათში ეგზამენების ნება მიუციათ 24 მოსწავლეთათვის და 24-საც მიუღია მოწოფულობის მოწმობა. ოც-და-ოთხიდამ ქართველები არიან 19, რუსი—4 და პოლშელი—1. აი ქართველების სახელი და გვარები: 1) გრიგოლ ბარათაშილი, 2) ლევან გოცირიძე, 3) ნიკო იოსელიანი, 4) სამუელ კანდელაკი, 5) მიხეილ ლორთქიფანიძე, 6) კოტე ლორთქიფანიძე, 7) ლეონ მამულაშვილი, 8) კონსტანტინე მიქარიძე, 9) იოსებ მდივანი, 10) ილია ნაკაშიძე, 11) ტრიფონ ორეხელაშვილი, 12) ანტონ ოცხელი, 13) არისტონ სანაძე, 14) დავით სანებლიძე, 15) მიხეილ საღარაძე, 16) ხარლამპე სირბილაძე, 17) გრიგოლ ქებაძე, 18) იაკობ ღულაძე და 19) კონსტანტინე ხვიტია. როგორც ამბობენ, ამათში 5 ფილოლოგიურს ფაკულტეტზედ მიდის, 4—საქიმო, 6—მათემატიურს, 3—იურიდიულს და 1—აღმოსავლეთის ფაკულტეტზედ.

*** ბორჩალოს მაზრიდამ მოუწერიათ, იმის გამო, რომ ამას წინედ დიდი წვიმები მოვიდა, თრიალეთის საპრისტაოში წყალი კუმბიათი ადიდდა და ეკკლესიის ქვის გალავანი და ერთი ოთახი საეკკლესიო სადგომისა გაანგრია. 4 ივნისს მოსულმა სეტყვამ შულავერში ვენახები და ხეხილები სულ ერთიანად გააფუჭა და აგრეთვე მოსავალიც გაანადგურა. ასე რომ ზარალი 30,000 მანათს აღემატებაო.

*** ყარაიაზიდგან სწერენ გაზ. «ახ. მიმოხ.», რომ ამას წინედ აქ სეტყვა მოვიდა და ყარაჯალარის სასოფლო საზოგადოების ნათესობა გააფუჭა 920 დღიურამდე, ზარალი 6,000 მანათამდეაო.

*** გაზ. „Каспій“ სიტყვით, ამას წინედ ბაქოში ერთი უბედურება მოხდარა შიბაევის და ამხ. ადგილში. ერთი ნავთის მომუშავეთაგანი ჩასულა ჭაში, რომლის სიღრმე 3 საჟენი და მის ძირში წყალი ყოფილა. ჩასულიყო თუ არა მუშა, მაშინვე გული წასვლიყო, ჩასულა მეორე მუშა, მეორესაც გული წასვლოდა. მეორე მუშას მესამე მიჰყოლია და ამასაც ესე დაჰმართვია. დასასრულ, რის წვალებით ამოიყვანეს სამივე გულ-წასული მუშებიო. ორი მოასულიერეს და მესამეკი გარდაიცვალაო.

*** 16 ივნისს, თელეთში მცხოვრებელ სამსახურ გარეშე მეოფმა უნტერ აფიცერმა ფედორ რუდენკომ პოლიციის გამგეობაში წარადგინა სასტუმრო «როსსიასთან» ნაპოვნი ორდენი წმ. ანნა მესამე ხარისხისა. ორდენის პატრონს შეუძლიან ჩაიბაროს ორდენი პოლიციის გამგეობაში, თუ ცხად საბუთებს წარადგენს ორდენის კუთვნილებისას.

*** 17 ივნისს, საღამოს ხუთ საათზე ვერის ხიდიდგან წყალში გადავარდა ვიღაც კაცი, რომელიც არა უმეტესს 18 წლისა იქმნებოდა. დამრჩვალის გვამი იპოვეს და სამკურნალოშია გაგზავნილი დასამარხავად.

## მართმბლობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა დროებით, თავის თხოვნის თანახმად პოლიციის ბოქოული ქ. უუბისა ოსიპოვი—ქალაქს ბაქოში, შვიდის დღით.

**დანიშნა:** ბაშკიჩეთის სასამართლო განყოფილების სეკრეტრის ხელ-ქვეითი, დიმიტრი ივანეს ძე კარგათელი—ყაზახის სასამართლო განყოფილების სეკრეტრად, 3 ივნისიდგან.

## დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქ. სიღნაღი, 25 მაისს. ბერძენმა ჰეროსტრატმა დასწვა შესანიშნავი ტაძარი, მხოლოდ იმიტომ, რომ სახელი ამით მაინც გაეთქვა. ამისთანა საქციელი მეტის-მეტი უგუნურებაა, მაგრამ ჰეროსტრატს მაინც მიეტევება, რადგან ძრიელ ძველს დროსა სცხოვრობდა და არც თვითონ ბრძანდებოდა ჭკვათა-მყოფელი. ეს საქციელი მიეტევება იმ დროს, მაგრამ დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, რომ არა შესაფერი, უჯერო საქმე ჩაიდინოს ადამიანმა, მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხმა ჩემზედ ილაპარაკოსო, ეს მეტის-მეტად მიგვაჩნია. მართალია, ეხლა ტაძარს არა სწვამენ სახელის გათქმისათვის, ისიც მართალია, რომ სიღნაღი ირგვლივ „ჯანყითა და ბურუსით“ არის გარემოცული, მაგრამ მართალია აგრეთვე ისიც, რომ დღევანდელი რაინდები სიღნაღისა მეტად თავისებურის ხასიათისანი არიან. სიღნაღის დღევანდელი რაინდები ცოტად თუ ბევრად მაზრის სვე-ბედის გამგენი ბძანდებიან და მათზე საუბარი უალაგოდ არ მიგვაჩნია.

მაისი განთქმულია ჩვენ დალოცვილ მხარეში ამქრების სამღთოებით. ისე დღე არ დაღამდება, რომ რომელსამე ბაღში; რომელსამე ამქარს სადილი (საღმთო) არა ჰქონდეს. ეს ჩვეულება შეურყეველად არის დაცული ჩვენში და ყოველი წევრი ამქრისა ვალად ჰრაცხს არ გადუხვიოს ამ ჩვეულების გზა-კვალსა. სწორედ ამ ჩვეულებისაგან გატაცებით აიხსნება მოსამართლე მოხელეობის ამქრის საღმთოცა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი საღმთო გადახდილ იქმნა არა ბაღში, არამედ თვით სამოსამართლო შენობის სადგომში. სადილზე პირველში მშვიდობიანობა იყო, მაგრამ იჭარბა თუ არა კახურმა, იწყო ჭურჭელმა ჰაერში ვალსის ბუქნა და უზნეველმა ბოთლებმა იატაკზე გაუსვეს ლეკური. ასეთი გაკადნიერება ერთის ამქრის წევრისა, მსახურს (сторожъ), რომელიც შესაფერად შეზარხოშიანებული იყო, არაფრად ეჭაშნიკა, რადგან უსულო საგნების სიმხიარულე და ცეკვა მის ჯიბეს შესაფერ ხარკს გადაახდეინებდა. ამ მიზეზით იგი წინააღუდგა უსულო საგნების თამაშობის თაოსანსა და მოსთხოვა, ზარალი აღმიდგინეო. ამქრის წევრმა სამართლიანი თხოვნა მსახურისა არ შეიწყნარა. ჯერ შეუტია და შემდეგ სიტყვის მაგივრობა მარჯვენას მიაჩემა. მსახურმა ამავე ზდილობით უპასუხა ამქრის წევრს. ზრდილობა კრივად გარდაიქცა... ეს ამბავი მეორე დღესვე მოედო ჩვენს ქალაქს და ვინ მოსთვლის, რა კუზა-მუზებით შეამკეს იგი. უსაქმურ ხალხს გაუჩნდა სალაპარაკო. მე-კი რომ მკითხონ, აქ საკვირველი არა არის-რა, ეს სამღთოს შედეგია.

— მერე საღმთო და სასამართლოს შენობაშიო? იქნება მკითხონ. ესეც არაფერი—ჩვენს ქალაქს სიღნაღს ეძახიან და ესეც კმარა ამ საბუთის გასამტყუნებლად. ასე იყო თუ ისე, ეს საქმე სასამართლოში გაირჩა ამას წინად და მოსამსახურეს გარდუწყვეტეს 10 დღე ციხეში დამწყვდევა. გამარჯვებული რაინდები მეტის გულ-ახსნით გვიამბობდნენ თავიანთ საქციელს, ან რა დასამალია, რადგან სიღნაღში ის წელიწადი წელიწადად არ ითვლება, როცა მოხელეთა კრივი არ მოხდება.

## წერილი რედაქტორის მიმართ

უმორჩილესად გთხოვ, ბატონო რედაქტორო, ნება მიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის შემწეობით საქვეყნოდ მადლობა განვუცხადო სენაკის მცხოვრებს აზნაურს სამსონ ბეჟანისძეს ქავთარაძეს, რომელმაც ოც-და-ათ მანათად ღირებული კედლის საათი შესწირა სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელს.

სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი
სამსონ ყიფიანი

სენაკი
ივნისის 17

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

პოლიტიკა, პოლიტიკა და პოლიტიკა! აი ერთად ერთი საზრდო, რომლითაც ეხლა იკვებება უმეტესი ნაწილი რუსეთის ჟურნალ-გაზეთობისა. მეტადრე გაზეთ „Московскія Вѣдомости“-ს მოსვენებას არ აძლევს ეს პოლიტიკა. გაზეთი თვალს არ აშორებს დასავლეთ ევროპას და დაწვრილებით გვაუწყებს: ვინ ვის დაუმეგობრდა, რომელ სახელმწიფოთა შორის განხეთქილობა ჩამოვარდა, სად თოფის წამლის სუნი მოისმის. აი ეხლა, მაგალითად, გაზეთი საქვეყნოდ რას ამბობს:

> ინგლისსა და საფრანგეთს შორის განხეთქილება ჩამოვარდაო, ამ ორს სახელმწიფოთა შორის კეთილ განწყობილებას რაღაც შავი ღრუბელი გადაეფარაო. ფხიზლად უნდა ვიყვნეთო!

გაზ. «Современныя Извѣстія» ცდილობს, უკან არ ჩამოურჩეს „Московскія Вѣдомости“-ს. ამ გაზეთსაც ერთი დიდი ამბავი აღმოუჩენია ევროპაში და ცდილობს საჩქაროდ აუწყოს მთელს რუსეთს. ეს ამბავი გახლავს—განხეთქილება, რომელიც ვითომ ამ ბოლოს დროს საფრანგეთსა და გერმანიის შუა ჩამოვარდნილა.

ამ განხეთქილების მიზეზი, გაზეთის სიტყვით, ბავარიის კოროლის ლუდვიგის სიკვდილია თურ-

---

ლეობა მხოლოდ გლეხების შეკვრა-შეკოჭვა და სატუსაღოში შეგდება იყო. ან თუ საჭიროება მოითხოვდა, კიდეც გაროზგავდენ. მროზგაები ზორბა მოსული ვაჟკაცები იყვენ; ორი მათგანი ლეჩხუმელი იყო, ორი სვანი; მოწიფულობით დევებს ჰგავდენ.

სანამდის დათუნა თავ ჩაღუნული და კისერ-მოწყვეტილი კიბეზე შემოჩაკუნდებოდა, მე კიდეც მოვასწრე ყოველივე განკარგულების მოხდენა, რაც ნაჩალიკისაგან მქონდა ნაბძანები. დათუნა შემოვიდა აივანზე და ერთს სვეტს აეტუზა. მე ვითამ ვერცკი შევნიშნე, ჩაუარ-ჩამოუარე, მინდოდა შემეტყო, აბა რას იტყოდა. მაგრამ თითქოს ენა ჩაუარდაო, კრინტიც არ გაიღო. უბეში ხელი ჩაიდვა, უხეიროდ დაიღრიჯა და ისე მიყურებდა, თითქოს გულში მეუბნებოდა: არმად შეგარგოს ღმერთმა ჩემი პურ-მარილი. შე ღვთის მტერო, ოჯახის მორყვნას რაღას მემართლებოდიო: მაგდენი რა დავაშავე, რომ, მაგას გარდა, ოც-და-ხუთს თუმანს კიდევ ჯიბიდგან მაცლიო?

მე კი სულ სხვას ვფიქრობდი, იქნება, მეორე ოც-და-ხუთი თუმანი გამოვართვათ-მეთქი. ბოლოს, თითქოს იმ წუთს შემენიშნოს მისი მოსვლა, თავი მაღლა ავიღე, თვალები შევაჭყიტე და ამაყად შევსძახე: ოჰ, შეოჩოპინტრე, აქამდის სად დაიკარგეთ?

— ღმერთმა გკითხოს, საჩინო, თუ მემართლებოდეო. ამ დროს ნაჩალიკის ხმაც მოისმა ოთახიდან.

— რა იქნა ამდენს ხანს ის ღვთის მტერი დათუნაო?

— აგერ გახლავს-მეთქი. ესტაცე მას ხელი და ჯიგლიგით შევაგდე ნაჩალიკის ოთახში.

დაინახა თუ არა, ნაჩალიკმა შებღვერა.

— აბა რაღას უყურებ, ამოიღეო! .

დათუნამ ჩაიდო უბეში ხელი,—გამოიღო ქისა სულ მანეთიანებით გატენილი და ჩაუჩხრიალა კალთაში ნაჩალიკს.

— რამდენია?

— ოც-და-ხუთი თუმანია, კაჭალი, რომ ნახევარი კაპეიკიც არ აკლია—უპასუხა დათუნამ.

— ხომ გითხარი ორმოც-და-ათი უნდა-მეთქი!—შენ არ იცი, რომ ახალი განკარგულება მოვიღეო: ვინც აზნაურს ხელს ახლებს, ის ალაიაში უნდა გაატარონ და ვინც ტყულა-უბრალოდ შესწამებს რასმე,—ქალი იყოს, გინდ ვაჟი, სულ ერთია,—ციმბირს არ აცილდება. შენ კი ახლა ისიც გბრალდება, რომ შენი პატარძალი, რომელსაც საჩინოსთვის ტყუილუბრალოდ დაუწამებია ღამით მიპარვა, სადღაც გადაგიმალავს.

დათუნა მოჰყვა ფიცს: შენი რისხვა არ მქონდეს, მე ის არ მცოდნოდეს, ჩვენი გულქანი სად იყო, არც ის მცოდნოდეს, თუ იასაულები შესეოდენ ჩემს ოჯახს. მე, როგორც ბრძანება მომივიდა, თქვენთან გიახელი და ჩემს სხვაგან ყოფნაში, იასაულები შეცვივნოდენ ჩემს დედა-კაცს. ან რა საბოქოულო იყო ჩემი ოჯახი?..

— ხმას ნუ იღებ, წადი ახლავე ის დანარჩენი ოც-და-ხუთი თუმანიც მოიტანე, თვარა ეს არის აგიგე წესი.

დათუნამ დაიჩოქა ნაჩალიკის წინ და შებღავლა: შენი რისხვა არ მომეცეს, მაგის მეტი ჩემს ბარობაზე გახვრეტილი კაპეიკიც აღარ მოიძეოდეს.

— ბიჭებო, როზგი! — დაიყვირა ნაჩალიკმა.

სვანები და ლეჩხუმლები შემოვარდენ წნელის კონებით და ჩაჰკიდეს დათუნას მაგრად ხელები.

—ბატონო ნაჩალიკო, ღმერთი გადღეგრძელებს, რაც გინდათ, ის მიყავით და მაგ უპატიურებას ნუ მომაყენებ: გამამათრახეთ, თუნდ თავით დაღმა დამკიდეთ, ფეხის ქუსლები დამისერეთ და შიგ მარილი ჩამიყარეთ; ოღონდ ტიტველი ნუ გამროზგავთ. ქვე ტკივილს კი არ შეუშინდები, მაგრამ სირცხვილს ველარ გადაურჩები, სოფლის აბუჩი შეიქნები. მეზობელი და მოყვარე აღარავინ მომეკარება. ჩემს მკვდარს აღარავინ იგლოვს და ცოცხალს აღარავინ მოიკითხავს. ქვე, შენი კვნესამე, მაგ სირცხვილში ნუ ჩამაგდებ. თუ გენებებათ, კიდეც ავიყრები, წავალ ჩემ ცოლიანრძლებიანა, ოღონდ თავი დამანებეთ.

— მოჰკიდეთ ხელი; წააქციეთ, დაჰკარით როზგი მაგ ავაზაკს—ყვიროდა გააფთრებული ნაჩალიკი.

წააქციეს შენი დათუნა და ორმოც-და-ათი დაჰკრეს. მე ვიდექი და ვითვლიდი.

რომ თქვას კაცმა, მაინცა და მაინც მაგრად არ სცემდენ; მაგრამ დათუნასათვის როზგის დაკვრა და სამარეში ცოცხლად ჩადება ერთი შეიქნა. გაროზგვის შემდეგ ის კიდევ უძრავად ეგდო პოლზე, წამოდგომას აღარ აპირობდა; თურმე ნუ იტყვი, სირცხვილისაგან გული შემოჰყროდა!.. გადაასხეს წყალი, ააყენეს და გარედ გამოიყვანეს. დაღამდა. დათუნა ვახშმობამდის ძლივს მიღწეულიყო შინ. სახლში რომ ფეხი შეედგა, წამოეყვირნა: თინანო, მოგიკლეს შენი დათუნაო!... შიშველი გაგიროზგესო!...

ამის გაგონება, ჯალაბის ხმა-მაღლა შეცხადება და მოთქმით ტირილი ერთი იყო. მეზობლებს საცა კი მისწვდათ დათუნას ჯალაბის ზრიალი, ფარსაგი არა ჰგონებოდათ რა, გამოცვენილიყვნენ და რომ შეეტყოთ დათუნას გაუპატიურება, ყველას საშინლად სწყენოდათ ეს ამბავი და სათითაოდ მიეტირნათ, თითქოს მართლაც დათუნა მომკვდარიყოს.

ამ დღიდგან დათუნას აღარ გაუხარია, ლოგინიდანაც არ წამომდგარა. იკრინა, იკრინა ავად-მყოფობაში, რათიც იქნა, ქრისტესშობის თთვემდის მიაწია და მაშინ სულიც დალია.

ძმებმა რომ შეიტყვეს ძმის სიკვდილი, ჩამოცვინდენ საჭირის-უფლოდ. აქ დიდი მითქმა-მოთქმა დაუხვდათ მეზობლებში უფროსის ძმის გაუპატიურებაზე. მაშინვე დაჰყიდეს ადგილ-მამული, სახლები, ავეჯულობა და ცოლ-შვილიანა კახეთისაკენ გადაესახლენ...

დროც იყო და ძალაც ხელში გვქონდა. დღეს ისე წახდა წუთის სოფელი, პაწია ღლაპიც*) ვერ მიშოვნია მოჯამაგირეთ. დღეს ცეცხლის დამთებიც აღარავინა მყავს ოჯახში, ყველაფერი ჩემი ხელით უნდა ვაკეთო...

გ. წერეთელი

1886 წ. 20 მაისს

*) ღლაპი—ჩჩვილი.

მე. საფრანგეთის გაზეთებს ამ სიკვდილის გამო გადაკვრით რადაცა უთქვამთ პრუსიის შესახებ. ეს ამბავი ნემეცურ გაზეთებს ძალიან სწყენიათ და აი გაზეთ „Norddeutsche Angem. Zuit“-ს საშინელი წინდაუხედაობა გამოუჩენია და პასუხი უგია საფრანგეთის გაზეთებისთვის.

გაზეთი «Современ. Изв.» არ მოსწონს ნემენცურ გაზეთების საქციელი და ამბობს:

ნემენცურ გაზეთებმა თავის მართლობა დაიწყეს, რომ გერმანიისთვის საჭირო არ იყო ბავარიის კოროლის სიკვდილიო. მაგრამ ვინც თავს იმართლებს, ის უთუოდ თავის თავს დამნაშავედ ჰგრძნობსთ, ამბობს ანდაზაო და აი ამის გამო საფრანგეთის გაზეთებმა დაჰკრეს საყვირი და ეხლა საქვეყნოდ გაიძახიან, რომ ბავარიის კოროლის სიკვდილში გარეშე კაცი ვინმე უნდა ერევოსო, და ეს კაცი თვითონ ბისმარკიაო.

ბისმარკი ჭკვიანად მოიქცა და ხმა არ ამოიღო, თუმცა ამისთანა მძიმე დანაშაულობასა სწამებდნენ გაზეთებიო. მხოლოდ არ დაჩუმდნენ ბისმარკის ერთგულნი მსახურნი და თავის მბძანებელს გამოესარჩლენო. გაზეთი „Kölniel. Zeit.“-მა პირდაპირ გამოაცხადაო:

ამის შემდეგ გერმანიისა და საფრანგეთის ურთიერთშორის განწყობილებას დიდი განსაცდელი მოელისო, ეხლა ეჭვი აღარაფისა აქვსო, რომ საფრანგეთში ნემენცები საშინლადა სძულთო და რასაკვირველია ნემენცებიც საფრანგეთს სიყვარულსა და მეგობრობას ველან გაუწევენო.

მაშ აქედამაც კიდევ ტირილის სუნი მოდის! .. ვნახოთ, როგორ გამართლდება მოსკოვის გაზეთების წინასწარმეტყველობა.

* * *

თავ. მეშჩერსკი სწერს თავის გაზეთში:

ვისაც უნდა ჰკითხო პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში: სად აპირობ წასვლასაო?

— კავკასიაშიო, გიპასუხებენ.

— რათა?

— სამკურნალოდაო.

კავკასიაში მიდიან ყველა მაღალ-ხარისხოვანნი; ქალი, თუ კაცი. ეს კარგია კავკასიის მადნის წყლებისათვის. აქამდე იქ არაფერი იყო რიგიანი: არც სახლები, არც საჭმელ-სასმელი, არც რიგიანი ექიმები. ეხლა-კი, როცა ამ წყლებისკენ გასწიეს მაღალ-ხარისხოვანთა, მინისტრებმა და გენერლებმა, სულ ყველაფერი შეიცვლება. კავკასიის მადნების წყლები სასიამოვნო საზაფხულო სამყოფ ადგილად გარდაიქცევაო.

სამხედრო მინისტრი კავკასიაში წავიდა საზაფხულოდაო, უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორიც იქ წავიდაო, ზღვათა მინისტრი დიდ-ოკეანეშია გზადაო, ფინანსთა მინისტრი 15 ივნისს სამზღვარგარედ წავიდაო, სრა-სასახლეს კარის მინისტრი თავის მამულში წავიდაო, შინაგან საქმეთა მინისტრიც აგრეთვეო.

ამ ნაირად გათავდა ზამთრის სეზონი პოლიტიკისაო, ამბობს გაზეთი:—და დაგვიდგა დრო მინისტრების ამხანაგებისაო. მხოლოდ ერთმა უკანასკნელმა მინისტრმა შინაგან საქმეებისამ დააგდო ბრძანება, რომ საყურადღებო საქმეებს უჩემოდ ნუ გააკეთებთო, ხელმძღვანელობას მაინც მე გავუწევ ჩემს სამინისტროსაო. ასე დადგა დრო დასვენებისა სხვა-და-სხვა სამინისტროებშიო. მხოლოდ ერთი სამინისტრო-და თუ მუშაობს ეხლა გაცხარებული, ეს სამინისტრო გარეგან საქმეთა სამინისტროაო.

ან კი რა მოსვენებისათვისა სცხელა ამ სამინისტროს, როდესაც ყოველ წუთს შეიძლება ისეთი რამ მოხდეს ევროპაში, რომ ყველას ყურები აცქვეტინოსო. როცა ისეთი მოსვენებული ხალხიც-კი, როგორიც ნემენცებიც არიან, ბერლინში ასეთს ლექსსა მღერიანო:

In Fridrichs ruhe
Hat Keine Ruhe
Der arme Bismark!

ვითომ ფრიდრიხრუეში საწყალი ბისმარკიც კი არ არის მოსვენებულიო.

# უცხოეთი

**ბავარია** ერთს გაზეთში დაწერილებით არის მოთხრობილი სტოდაკის ბავარიის კოროლის თავ-გარდასავალი. ბავარიის კოროლის სიკვდილის ამბავმა მთელს მიუნსენს თავ-ზარი დასცა. მიუნსენი ასე თუ ისე მომზადებული უნდა ყოფილიყო ყოველის უცარის ამბისათვის, რადგანაც კოროლის მდგომარეობა იცოდა, მაგრამ მაინც მიუნსენის მკვიდრთ არა სჯერდათ, რომ კოროლმა ჯერ სულითავად-მყოფობის ექიმი ფონ-გუდდენი დაჩრჩა ტბაში და მერე თვითონ დაჩრჩა თავიო. არა სჯერდათ, მაგრამ ყოველივე ესე მართალი კი იყოვო. ქალაქი ფესზე იდგაო. შიგრიგები დარაზმდნენ აქედ-იქით, ცხენიანები თქარა-თქურით მიესწრაფოდნენ სხვა-და-სხვა მინდობილობის შესასრულებლად, ჯარებს თავს უყრიდნენ ყაზარმებში, მინისტრები ღამის 2 საათზე შეიკრიბნენ საათობირად. დილით 9 საათზე განცხადებანი გაკრეს კედლებზე. ამ სამწუხარო ამბის გამო ქუჩები გაივსო ხალხით. შეუღლებელი იყო რომელსამე გაკრულ განცხადებასთან მისვლა, რადგან გარშემო დიდ-ძალი ხალხი იყო შეჯგუფული. გაზეთების დამატებანი დაიბეჭდნენ ამ ამბის თაობაზედ, მაგრამ ისე დაიტანეს, რომ დიდ-თასადაც შოვნა ადარსად იყო. ლუდვიგი ისეთის ახირებულის სასიათებისა იყო, რომ კაცს უნებლიედ ფიქრად მოსდიოდა, თავს არა აუტესოს-რა კოროლმაო. კოროლი საკვირველი გულფიცხი იყო: მცირე წინააღმდეგობას მოთმინებიდამ გამოჭუკვდა და როცა ასე გაჯავრდებოდა, სრულიად ჭკვათ არ საყოფელს ბრძანებას გასცემდა ხოლმეო. არა იშვიათად მოხდებოდა ხოლმე, რომ ჯერ მკვახე-მკვახე სიტყვებით გალანძღავდა და მერე საკუთარის ხელითა სტემდა მოსამსახურეებსაო.

1867 წლიდამ გამარტოვდა, დაანება თავი მიუნსენს და სცხოვრებდა თავის სახ ერთსა და სან მეორე ციხე-გალავნებში. ლუდვიგს შეეჯავრა ხალხი და განსაკუთრებით უფრო ქალები.

კოროლს გაგიჟებით უყვარდა თურმე ერთი ქალი და დაინიშნა კიდეც, მაგრამ დანიშნულმა მეტის-მეტად უმართებულოდ ულალატა კოროლს. კოროლის თავმოიწყინა თავის ნათქვამმა ბუნებამ ვერ აიტანა ასეთი დამცირება. მისი წმინდა გული შეძრწუნდა ასეთის უმსგავსობისაგან. ლუდვიგ II არ იყო წვრილმანი კაცი, უბრალო სიკვდილის შვილი: ვნებათა ღელვით ხავსე მისი გული ეძიებდა იდეალებს და უნდოდა ცხოვრება ამ იდეალებს მისწვდომოდა, მაგრამ დასაწყისშივე, 22 წლის კოროლს ისეთი უსიამოვნობა შეემთხვა, რომ სამუდამოდ სასოვრად გულში ჩაიხვია.

მაგრამ ლუდვიგი ისევ სახელმწიფოებური კაცი იყო, ისევ თავის ერისათვისა ზრუნავდა, გერმანიისათვის შესტკივდა გული და თავისებურად სულითა და გულით მიეცა აზრს ყველა სანემენცო სახელმწიფოების გაერთიანებისას და სწყურდა, რომ ერთიანი, დიდი გერმანია შექმნილიყო ძმობითა და საყვარულით გამსჭვალული.

მაგრამ ამ საქმეშიც გული დაუთანხლრეს და ატკინეს და უფრო განმარტოვდა. მიუნსენს მხოლოდ ორისა და სამის კვირით მოდიოდა და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ კონსტიტუცია ამას ითხოვდაო.

ლუდვიგ II გიტლერი შენობათა აგების საქმეს. ამაზე დაჭსარჯა, რაც რამ ქონება ჭქონდა და დიდ-ძალი კალებიც დაედო. ამ ბოლოს დროს მოვალეებმა მოსთხოვეს, რომ გალები გადაგვისადეო, მაგრამ კოროლის ხაზინა ცარიელი იყო. კოროლმა ლანდტაგს მიჭმართა და სთხოვა, ჩემი საქმეები რიგზე მოიყვანეო, მაგრამ ლანდტაგმა ისეთი პირობა დაუდო კოროლს, რომ მან ვერ შეიწუნარა. მეტი ღონე არ იყო, თავადვე უნდა ეზრუნა თავის საქმეებისათვის. ამ დროსვე დაიწყეს ლაპარაკი, რომ რეგენტობა უნდა დაწესდესო. 9 ივნისს გამოიცა მანიფესტი რეგენტობის დაწესების თაობაზე. მიზეზი ის არის, რომ კოროლი უცბად აეად-მყოფი შეიქმნა, გონება დაჰკარგა და არ შეუძლიან სახელმწიფოს მართვაო. ამ გვარი მდგომარეობა კოროლისა ოთხმა სულით ავად-მყოფობის ექიმმა შეამოწმა და დაამტკიცა, თუმცა არც ერთს არ უნასავს კოროლი. ლუდვიგის საკუთარმა ექიმმა შეიტყო წინააღმდეგობა გამოცხადა ამაზე, მაგრამ შემდეგ სადღაც გაჭქრა.

რეგენტმა ლუიტპოლდმა, კოროლის ბიძამ და მთავრობამ დეპუტაცია გაუგზავნეს კოროლს. დეპუტაციას უნდა შეეტყობინებინა მისთვის ეს ამბავი. დეპუტაცია კოროლმა არ მიიღო და ჩაიკეტა თავი თავის სასახლეში. მოსამსახურეებმა შენიშნეს, რომ ერთს-ერთს დეპუტატს შუშა დაუკარდა, ბანგით სავსე. ამის გამო მოსამსახურეებს თავში გაუელვა აზრმა, რომ უთუოდ კოროლის მოკვლა სწადიანთო. მეორე დღეს კოროლმა გასცა ბრძანება, რომ დეპუტაცია დაატუსაღეთ და დეპუტაციის უფროს გრაფს ჭოდსტეინს თვალები დასთხარეთო. ეს უკანასკნელი ბრძანება არ იქმნა აღსრულებული, რადგან იცოდნენ, რომ კოროლი სან-და-სან, როცა გულზე მოდიოდა, მეტად შეუსაბამო ბრძანებას იძლევა ხოლმეო. ამ დროს შეუძლიან ბრძანოს, რომ კლდიდამ გადაგდეთ ჩემი სეკრეტარიო, რომელიც ძალიან უყვარდაო.

მერე კოროლმა დაიფიცა ყველა, ვინცა ჭუკვდა დასხლოვებული და გადასწყვიტა, რომ იმათთან ერთად დაეცვა თავი. მაგრამ ამაოა იყო ყველაფერი. მეორე დეპუტაცია მოვიდა და თან მოჭყვნენ ექიმებიცა. მათ შორის იყო გუდდენიც. კოროლი დაეჯერეს, როგორც იყო, რომ ყველაფერი გათავდა და მეტი ღონე არ არის გარემოებასა და ბედს უნდა დაემორჩილოთო. კოროლი გამოვიდა დეპუტაციასთან, გული მოიბრუნა, სოტრად დამშვიდებული სასეთურმე ჭქონდა. კოროლი ალერსიანად ეპყრობოდა დეპუტატებსაო. დეპუტატებმა განუცხადეს, რომ „ბერგის“ ციხე-გალავნში უნდა გადაბძანდეთ სცხოვრებლადაო, ასეა ნაბრძანებიო. კოროლს თუმცა არ უნდოდა ამ სასახლეში წასვლა, მაგრამ მეტი ღონე არ იყო,—ჩასხდნენ და წავიდნენო. მისვლის უმალ კოროლმა დაათვალიერა სასახლე და დაუმადლა მოსამსახურეებს, რომ ყველაფერი რიგზე არისო. ძალიან დამშვიდებული და თავაზიანი თურმე იყო კოროლი ბერგშიაც და გზაშიც, მაგრამ ყველა ეს მხოლოდ განგებ მოსურსაო. ამ დროს იგი ფიქრობდა იმაზე,—თუ თავი როგორ მოეკლაო, ფონ-გუდდენის ჯავრი როგორ ამოეყარაო. ფონ-გუდდენი იმიტომ ეჯავრებოდა კოროლს, რომ ის ბირველი ამტკიცებდა, კოროლი ჭკვათ-მოყოფელი არ არისო. 1 ივნისს, კვირას კოროლი წავიდა სასეირნოდ ფონ-გუდდენთანა და მოსამსახურეებთან ერთადაო, მაგრამ გუდდენმა შეიშნა, ვითომ კოროლს არ ესიამოვნებოდა, რომ მსლებელები უკან მისდევდნენო.

კოროლი და გუდდენი-კი სადამოზედაც წავიდნენ სასეირნოდაო და მოსამსახურეები არ გაუოლებიათ თანაო. როცა მისულან ტბასთან, აქამდე მშვიდი კოროლი უცებ გამოცვლილა, გაუსდია ს
ოთუკი და უტაცნია გუდდენისათვის სასელში სელი. მერე შეუთრევია ტბაში და დაურჩია. გუდდენს ბევრი უბრძოლნია, მაგრამ ვერა გაუწყვიტ-რა ღონიერ კოროლთანა. სახე თურმე სულ დაგაწრული ჭქონდა. როცა დაურჩია ამ სასით ძალი-ძალაზედ თხელ წყალში გუდდენი, მერე თავადაც დამრჩვალა.

მიუნსენში დეპეშა დეპეშაზე მოდიოდა ამ ამბის გამოგო. ხალხი ძალიან აღელდაო. ზოგი ამბობდა, ძალად მოჭკვესო, ზოგი კიდევ ამტკიცებდა, გიჟი იყოვო. მეორე დღეს ბრბო ხალხისა შეურიეიყო ლუიდპოლდის სასახლესთან.

კოროლად გამოაცხადეს ლუდვიგი II მმა ოტტო, დიდის ხნის ჭკუაზე შეშლილი.

როცა ლუდვიგის გვამი მოასვენეს მიუნსენს, ბევრს ცრემლი სცვიოდა და სტიროდაო. ბევრი იძახდა: „Linber Monarch!“-ო, ვითომ საყვარელო მეფეო. მაგრამ ისევ ძალე ჩაიკმინდეს სმაო, რადგან დაუძახეს, ჩუმად იყავით, ნუ წუწუნებთ, აღკრძალულიაო.

## სასამართლოს მატიანე

მკვლელობა ტფილისის სასულიერო სემენარიის რექტორისა, დეკანოზის ჩუდეცკისა ლალიაშვილის-მიერ.

(დასასრული *)

პოლიციის მოხელე **სოკოლოვსკი:** როდესაც მე მივედი სემენარიაში, აივანზე დავინახე სისხლი და თმის ნაგლეჯი. მასწავლებლებმა ლალიაშვილი და მისი ხანჯალი მე გადმომცეს. ლალიაშვილის პალტოს ჯიბეში მე ვიპოვენე თხოვნა ექზარხოსის სახელზე და გარდავეცი გამომძიებელს.

სასამართლოს დადგენილობით კითხულობენ: ლალიაშვილის თხოვნას ექზარხოსთან და თხოვნის შავსა რექტორთან; ამ უკანასკნელ თხოვნაზე არის წარწერა: «მიეუწყოთ თვითოეულს ღირსებისამებრ». ბრალდებული ამბობს: ეს ფრაზა არასფერს ნიშნავს, ეგ საღმთო წერილიდამ ამოღებული ადგილიაო“.

ფელდფებელი **შაბოვალოვი:** იანვრიდამ 24 მაისამდე ლალიაშვილი ჩემთან სცხოვრობდა, ჩემს შვილებს ასწავლიდა და ამიტომ ვინახავდი უფასოდაო. ლალიაშვილი მეუბნებოდა ხოლმე, რომ რექტორს უნდაო ჩემი სემენარიიდამ დათხოვნა ისე, როგორც რიგიაო. სამდურავს არ ამბობდა რექტორზე, არც ცუდად იხსენიებდა, უკმაყოფილო იყო მხოლოდ ინსპექტორზე.

ნაფიცის ეექილის ტურკევიჩის კითხვებზე მიუგო: ლალიაშვილს ნემსიც არა ჰქონია, არამც თუ სხვა რამე იარაღი; ძალიან ღარიბად იყო; ლოგინიც არა ჰქონდაო.

თავს-მჯდომარის კითხვაზე მიუგო, რომ ლალიაშვილს არ განუცხადებია მისთვის, რომ 24 მაისს შემდეგ იგი გაჭირებულ მდგომარეობაში იქმნება; ამაზე ბრალდებულმა უპასუხა: რა საჭიროება მოითხოვდა, რომ მე მაგისთვის გამეცხადებინაო.

**მარიამ შაბოვალოვისა:** ლალიაშვილს ჩვენსა ძალიან კარგად ეჭირა თავი; როცა ის ინსტიტუტში შესასვლელად ემზადებოდა, თავის საქმეს უფრო ყურს უგდებდა, ვინემ ჩვენს ბავშვებს. როდესაც ინსპექტორი მოვიდა; ლალიაშვილმა უთხრა. «თქვენ ნება არა გაქვთ წიგნები მომთხოვოთო». რექტორს არ ემდურებოდა; იმაზე ამბობდა ხოლმე, რომ კარგი და კეთილი კაციაო.

შემდეგ ჰკითხეს იმ მოწმებს, რომელნიც ეექილმა გამოიწვია.

**ზაქარია უზნაძე** (გამორიცხული მოსწავლე სემენარიიდამ, რომელიც დაპატიმრებულია მეტეხის ციხეში, შემოიყვანეს ყარაულ ქვეშ): არაფერი არ ვიცი არც მკვლელობაზე და არც იმაზე, თუ რა განწყობილობა იყო ლალიაშვილსა და რექტორს შორის.

**ნინო მახარაშვილისა** (ყრუ, სამოცდა-ათის წლის მოხუცი). ყველანი კარგი აზრისანი იყვნენ ლალიაშვილზე; მე ვიეიყვანე ალსაზდელად, როდესაც ჯერ ისევ პატარა იყო და ობლად დარჩა. ეექილის კითხვაზე მიუგო, ლალიაშვილი მშვიდი და წყნარი იყოვო.

ზედამხედველი გორის სასულიერო სასწავლებლისა **დათოშვილი:** როდესაც ლალიაშვილი ჩვენს სასწავლებელში იყო, ძალიან კარგი ყოფაქცევისა იყო, მშვიდი, მაგრამ ცოცხალის ბუნებისა; მე კარგის აზრისა ვიყავ იმაზე. რამდენადაც მახსოვს, ჩვენს სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ მოწმობაში ყოფაქცევაში ჰქონდა 5-ი.

ეექილისაგან გამოწვეული იყო მოწმედ პავლე ბურჯანაძე, მაგრამ არა ჰკითხეს; არ წაიკითხეს ჩვენებანი მღვდლის მანჭელეასი დ. მახათაძისა. წაიკითხეს განსვენებულის რექტორის ჩუდეცკის ჩვენება. შემდეგ სასამართლომ გადასდო საქმე საღამოს ექვსს საათამდე.

საღამოზე ტურკევიჩმა სთხოვა სასამართლოს სამი ადგილის წაკითხვა ლალიაშვილის დღიურიდამ და უჩვენა მე-10, 13 და 16-ე გვერდი საქმისა. ბრალ-მდებელმა გასინჯა ეექილისაგან დასახელებული ადგილი და ყაბული განაცხადა წაკითხვაზე; მდივანმა წაიკითხა. იმაში იყო მოხსენებული, რომ სემენარიელებმა საწოლ ოთახებში რალაც ჭიები აღმოაჩინეს; რომ ისინი შეხვდნენ ვიღაც მღვდელს, რომელიც საჩივლელად მიდიოდა რექტორთან; აღწერილი იყო დღეობა სემენარიისა და ექზარხოსის ქადაგება; მაგრამ, რადგან ყველა ეს საქმეს არ შეეხებოდა, შეწყნარებულ არ იქმნა. შემდგომ ამისა ილაპარაკა ბრალ-მდებელმა.

*) იხ. „ივერია“ №№ 129 და 130.

ამოკრებილი „Кавказъ“-ს № 159-დამ.

თანაშემწემ სამხედრო ბრალდებულისამ ორნატსკიმ დაიწყო თვისი ლაპარაკი იმ სიტყვებიდამ, რომლებიც ლალიაშვილს ეწერა თხოვნის ქაღალდზე რექტორთან: „მიუწყოთ თვითეულს ღირსებისამებრ.“ უსაბუთობისა გამო არ შეეხო იმას, თუ ვისზე იყო ნათქვამი ეს სიტყვები, შეეხოდნენ თვით განსვენებულს ჩუდეკკის, თუ არა. როდესაც საბუთებს საქმისასა შეეხო, სთქვა, რომ საქმე ერთობ ცხადია უფრო იმიტომ, რომ მკვლელი იქავე შეიპყრეს, ამიტომ ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არისო.

ბრალ-მდებულმა უარ-ჰყო ის მიზეზები, რომელნიც თვის გასამართლებლად ლალიაშვილმა წარადგინა ჩუდეკკის მკვლელობის თაობაზე. როდესაც შეეხო ლალიაშვილის გამორიცხვას ჯერ სახელმწიფო ხარჯიდამ და შემდეგ სრულებით სემენარიიდამა, სთქვა, რომ უადგილოაო ამაზე ჩემის მხრივ მსჯელობაო, რადგან ამ საქმის ასე თუ ისე განსამართლება სემენარიის მთავრობის საქმეაო. შეეხო რა იმ გარემოებას, რომ ლალიაშვილს მოუხდებოდა, გამორიცხვის შემდეგ, ეფიქრნა თავის თავზე, ლუკმა პურზე, ბრალ-მდებელი ამტკიცებდა სტეფანოვის ჩვენების ძალით, რომ ლალიაშვილისთვინ საჭირო არ იყოო, რომ ისე თავ-გამოდებით თხოულობდა 4-ს 5-ზე გადასწორებასა ყოფა-ქცევაშიო, რადგან 4-ი ნიშნავს ძალიან კარგსაო. ჩვენება ლალიაშვილისა, ვითომც ის 16-ჯერ მივიდა რექტორთან, სრულიად უმართლოა, რადგანაც ხშირის მსელელობით თავს მოაწყენდა და მაისის 24-ში აღარ მიიღებდა მას რექტორიო. ლალიაშვილის ლაპარაკი იმაზე, ვითომ იმას ინსტიტუტში არ მიიღებდნენ 4-ით ყოფა-ქცევაში ერთობ საეჭვოა. ლალიაშვილს ჰქონდა განძრახვა წასულიყო გორში ბებიასთან, მაგრამ ეს არ აღასრულა, როგორც არ აღასრულა ისა, რომ შესულიყო სახელმწიფო ან კერძო სამსახურშიო.

მოიხსენა რა ყველა ეს, ბრალ-მდებელმა განაცხადა, რომ ლალიაშვილი სრულიადაც არა ყოფილა განწირულს მდგომარეობაში; რომ არაფერი მიზეზები არა ჰქონდა მოეხდინა ასეთი საშინელი მკვლელობაო.

ჩვენება ლალიაშვილისა იმაზე, რომ მკვლელობა ჩაიდინა აღელვების ჟამს, უმართლოა. ბრალ-მდებელმა უჩვენა ლალიაშვილის ჩვენებათა სხვა-და-სხვაობაზე ეხლა და თავ-და-პირველად შესახებ რექტორთან ბაასისა მკვლელობის წინად; შეადარა ჩუდეკკის ცოლის და მენაქელების ჩვენებებთან, შემდეგ უჩვენა სასამართლოს, რომ ხანჯალი შემთხვევით არ ჩაუვარდა ხელშიაო, განზრახვით ჰქონდა ნაშოვნიო. ყველა ამის გამო ბრალ-მდებელი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლალიაშვილი მაისის 24 მივიდა დეკანოზ ჩუდეკკისთან წინად-გარდაწყვეტილის აზრით, რომ იგი მოეკლაო.

ბრალ-მდებელმა განაცხადა, რომ ეს საქციელი ლალიაშვილისა ექვემდებარება 1454 სტ. დასჯათა წესდ. და ძალითა უმაღლესის ბრძანებისათა, რომელიც ამ საქმის გამო მიღებულია, ექვემდებარება 279 სტ. სამხედრო დასჯ. წესდ., ე. ი. სიკვდილით დასჯას ეძლევაო.

მაგრამ მცირე-წლოვანობისა გამო ბრალდებულისა ეს კანონი წესდებისა უნდა შეუმსუბუქდესო. როდესაც გაარჩია და შეადარა ყველა ნაირი ცნობანი ლალიაშვილის წლოვანობის გამო, შეიწყნარა ნამდვილად, რომ ლალიაშვილი არის დაბადებული 1866 წლის იანვრის 2-სა. მცირე-წლოვანობისა გამო ბრალ-მდებელმა დაიწყო ლაპარაკი სასჯელის შემსუბუქებაზე და შეადარა-რა 80 მუხლი სამხედრო წესდებულებისა 139 დასჯ. წესდების მუხლთან და ამას-და-გარდა იხელთ-მძღვანელა-რა უმაღლესის სამხედრო სასამართლოს 1870 წ. № 40-ს განაჩენით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოცის წლობით კატორგაზე ნაკლები სასჯელი ვერ დაენიშნებაო.

ტურკევიჩმა, ნაფიცმა ვექილმა ლალიაშვილისამ, ძალიან ვრცლად ილაპარაკა და თავის სიტყვაში ამტკიცებდა, რომ ლალიაშვილი გაჭირვებულ მდგომარეობაში იყოვო, როდესაც იგი სემენარიიდამ გამორიცხესო და ველარ სად შევიდა. იმას სიმმილით სიკვდილი მოელოდაო. დახატა მისი ხასიათი, მდგომარეობა, სთქვა, რომ ლალიაშვილი ყოველად საბრალო კაციაო; ოცის წლით კატორგაში გაგზავნა არ შეესაბამება მის დანაშაულობასაო. და ამიტომ სთხოვა სასამართლოს ეშუამდგომელნათ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე მისის სასჯელის შესამსუბუქებლად, რომ ოცის წლის კატორგა შეეცვალოსო და ციმბირში გაიგზავნოს საცხოვრებლადაო.

შემდგომ ბრალდებულის მცირე სიტყვისა, სასამართლო 8½ ს. გავიდა განაჩენის დასადგენად და 10 ს. და 15 წ. საღამოთი გამოიტანა და წაიკითხა ჩვენის მკითხველების-მიერ უკვე ცნობილი განაჩენი.

# დეპეშა

აი ვრცლად გუშინწინდელი დეპეშა.

სახელმწიფოს რჩევამ დაადგინა: ბაკის მოძატება ჭაშის და სიდის სპირტზე, რომელიც იხდება ჩერნოგორიაში, სტავროპოლის გუბერნიაში, თერგისა და ყუბანის ოლქში, ამიერ კავკასის მხარეში, გადაიდოს 1887 წლისა 1 იანვისამდე. თუ ამიერ კავკასიის მხრიდამ იმპერიის სხვა ადგილებში შემოიტანენ ბაკ-გადუხდელს სპირტსა, მაშინ უნდა გადიხადონ ბაკი რამდენიც გადიხდება ხოლმე ღვინოზე ანუ სპირტზე. იმავე რჩევამ დაადგინა: ბაკი ღვინოზე და სპირტზე, რომელიც შემოაქვთ უცხოეთიდამ ნიკოლაევის და ვლადივოსტოკის ნავ-საყუდლებში, დაიდოს 1886 წლის 1 იანვისიდამ 10 მ. ხამს თუნგ სპირტზედ. ხასმელების ბაკის წესდების ზოგიერთა ადგილების შეცვლისა და შევსების გამო ხახელმწიფო რჩევამ დაადგინა: 1) სპირტის ძალის გამოსაცდელად უნდა იხმარებოდესო მინის იარადი «ტრადლესისა»; 2) ფინანსთა მინისტრს ეძლევა ნება განსაზღვროს ის ხაფუძველნი, ის პირობანი, რომლის ძალითაც დაბალი ხარისხის სპირტი შეიძლება ინახებოდეს ადგილობრივვე; 3) დადგენილი წესები არეულისა და სპირტის სიმაგრეზე, მათს შენახვასა და განხეიდვაზე შეეხებიან პოლიშასაც; 4) არეულისა და სპირტის განხეიდვის დროს; პატრონებმა მხეიდველებს უნდა მისცენ მოწმობა.

18 ივნისს

სუმი. დიდ-ძალს ჯარხლის მოსავალს მოელიან. რაოდენობა ჯარხლით დათესილის მიწებისა შარშანდელზედ ნაკლები არ არის.

ნოვოჩერკასკი. დონს გადმა სრულიად მოსცდა მოსავალი.

ბერლინი. პრუსიის სეიმის სესსია გათავდა. წევრი სოციალ-დემოკრატ ბურის დასისა რეისსტაგში ზიტერი განდევნილ იქმნა ბერლინიდამ.

განგუნი. „რეიტერის“ სააგენტოს დეპეშა გვაუწყებს, ვითომ ტულიოდამ იწერებიან, რომ ზემო ბირმანიაში 17—19 ივნისამდე 1500 კაცისაგან შემდგარმა ბრიტანიის ჯარმა მაიორ ჩელზის სარდლობით იერიში მიიტანა ბირმანელების ჯარზე, და თუმცა ინგლისელებს ორი ბატარეია არტილერიისა ჰყავდათ, მაინც ვერ შეარყიეს მტერი. ბრძოლა სასტიკი იყო. გასტანა ხუთს საათს, ინგლისელები იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ. მაიორი ჩელზა დაიჭრა.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუენ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქრონიკონი — **ოიწ**=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქრონიკონი—**მბ**=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივნისი 30 დღით არის.

**20 დღე პარასკევი.** წმ. მეთოდისა, ათანასესი. სომეხთა მარხვა. კათოლიკეთა: სილიბისტროსი, ფლორენტონისა. მუსულმანთა უკანასკნელი დღე რამაზანის მარხვისა. როცა თავადი ტაციშვილი ემზადებოდა ეწმაძინის იერიმით ადებისათვის, უცბად გაჩნდა დიდი ჯარი სპარსთა და ასტყდა ფიცხელი ომი 1804 წელს. 1 საათსა და 7 წამზედ შობა ახალის მთვარესი. ჭეშმარიტი შუადღე 12—3—44; ტფილისში მზე ამოდის 4—29; ჩადის 7—38 მთვარე ამოდის 5—22 ღ. ჩადის 7—35.

**21 შაბათი.** წმ. მოწამე იულიანე, ტერენტისა; წმ. საქართველოს მეფეთა: არჩილ, ლუარსაბისა. სომეხთა: წმ. დიდის ნერსეს მამა მთავარისა; და ეპისკ. ზადესი; კათოლ. ალოიზია და ავრელინისა. მუსულმ. 1 დღე თვისა შევვალ 1303 წ. ჰიჯრისა—1 დღე ორუჯ—ბაირამისა. 1 იდულ-ფიტრ, გახსნილება. რუსის ჯარმა დაიპყრა დარუბანდი 1805 წ. „ამიერ კავკასიის მმართველის“ ბეჭდვა დაიწყო ტფილისში 1836 წელს. იალბუზზე ასვლა აკადემიკოსი: კუპფერისა, მეიერისა და ლენცისა 1829 წელს. ჭეშმარიტი შუადღე 12—3—55. ტფილისში მზე ამოდის 4—29; ჩადის 7—38. მთვარე ამოდის 6—29 ჩადის 8—29 ღ.

**22 კვირა.** მოწამე ევსევი ეპისკოპოსისა. სომეხთა: აღების-ღამე წმ. გრიგოლ განმანათლებელის მარხვისა. კათ. პავლინისა და ფლავიოსისა. მუსულმ. 2 დღე ორუჯბაირამისა. 12 დღეს ერტყა რუსის ჯარი ანაპას და ხუთჯერ მიიტანეს იერიში. ქალაქი აღებულ იქმნა 22 ივნისს დილის 8 საათზე. დატყვევებულ ოსმალოს ფაშათა შორის იყო ცრუ ქინასწარმეტყველი მანსურიც, რომელიც პეტერბურგს გაიგზავნა 1791 წ. ფიცხელი ომი გაიმართა ეჩმიაძინის მიდამოთა-შორის საქართველოს მთავარ-მმართებელის თავ. ციციშვილსა და სპარსთა შუა-სპარსნი სცდილობდნენ, რომ წყალი გადაეგდოთ ეჩმიაძინიდამ 1804 წ. ჭეშ. მარიტი შუადღე 12—4—6. ტფილისში მზე ამოდის 4—30; ჩადის 7—37. მთვარე ამოდის 7—40; ჩადის 9—25 ღ.

**23 დღე ორშაბათი.** ქალწულ-მოწამე აგრიპინასი. სომ. წმ. ეპიფანე კვიპრელისა, ბაბილასი და სხვათა. კათოლ. აგრიპინასი, ზენონისა და ზენასი. ჭეშმარიტი შუადღე 12—4—17-ს ტფილისში მზე ამოდის 4—30; ჩადის 7—37. მთვარე ამოდის 8—48; ჩა-2—57 ღ. პოლკოვნიკი კარიაგინი გეომართა განყოფილებამ შუშის გზით მაიორ ლისინევიჩთან შესაერთებელად. სულ 400 ჯარის კაცი ჰყავდა. აზრად ჰქონდა სპარსნი შეეყენებინა, რადგანაც მრავლად ამხედრებულიყვნენ და უნდოდათ საქართველოს დასხმოდენ თავსა. უცებ დიდ-ძალი სპარსნი დახვდნენ. კარვაგინმა მოიგერა სპარსნი და იარა თავისა გზით. ამით დაიხსნა საქართველო სპარსთა თავს დასხმისაგან 1805 წელს.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 ივნისიდამ 1-ლ ივლისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის გარისხისა . | 2½ | » |
| » » 2 » | 2 | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 4½ | » |
| » » 2— | 3 | » |
| » » 3 » | 2½ | » |
| ჯვარის მამის პურის დავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 4½ | » |
| მე-2 ხარისხისა . . | 3½ | » |
| მე-3 — . . . | 3 | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | » |
| » 2 » | 7 | » |
| სუკი . . . . | 14 | » |
| ცხვრის ხორცი . . . | 7 | » |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით ½ ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროს..ისკს და კერჩში შეიგზის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეიგზის).

ბკირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.


# განცხადებანი

## ტფილისის საქალაქო გამგეობისაგან.

ამ წლის 24 ფებერვალს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო რჩევის აზრის ძალით საქალაქო გამგეობა ვალდებულია შეადგინოს ტფილისის მცხოვრებელთა ოჯახების სიები. საქალაქო გამგეობა, შეუდგა რა ამ საქმეს, პოლიციის დახმარებით უმორჩილესადა სთხოვს მცხოვრებლებს: 1) წარუდგინონ პირად საოჯახო სიების შემდგენელთ მეტრიკის მოწმობანი წლოვანობაზე, ხოლო თუ სახლიდამ წავლენ სადმე, ეს მოწმობანი ანუ იქიდამ ამოწერილი ბარათები დაუტოვონ იმას, ვინც სახლში რჩება; 2) უკეთუ მეტრიკის მოწმობანი რომელსამე სახელმწიფო, ან კერძო დაწესებულებაში ინახება, ან რომელსამე სასწავლებელში, მაშინ წარუდგინონ სიების შემდგენელთ იქიდამ ამოწერილი ცნობა, თუნდა სრულიად კერძოთაც იყოს იგი ამოწერილი. იქნიონ იმათ, ვინც სახლში იმყოფება, დაწერილი, თუნდ სულ უბრალო ქაღალდის ნაჭერზედაც, ცნობა რა ენითაც უნდა იყოს, იმის თაობაზედ, — თუ რამდენი სულია ოჯახში, თუ სხვაგან არის რომელიმე წევრი ოჯახისა, სახელდობრ, სად იმყოფება, რა სავაჭრო დოკუმენტი აქვს, რომლის ძალითაც ვაჭრობს ან ხელოსნობს, ე. ი. პირველის გილრის მოწმობა აქვს, მეორისა, თუ მოწმობა საწერიმალოთი ვაჭრობისა, აგრეთვე იმაზე,—თუ ვინ რა წოდებისაა, თავად-აზნაურობისა, სასულიერო, საპატიო მოქალაქობისა, თუ დაბალ მოქალაქობის წოდებისა.

(3—2)

## ბიბლიოგრაფიული განცხადება

### დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

### ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზეღ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი **ხუთ შაურად.**

(10—5)

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-მიეყ შედგენილი წიგნები:

**საქართველოს მოკლე ისტორია**

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

**საქართველოს საეკლესიო ისტორია**

ფასი 45 კაპ.

**მეცხალი**

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: **ტფილისში:** გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. **ქუთაისში:** ჭილაძის მაღაზიაში. **თელავში:** ვ. როსტომაშვილთან; **სიღნაღში:** ვ. ქიტიაშვილთან; **სურამში:** ა. ქარსიძესთან; **ფოთში:** ხუმარაძესთან. **ყვირილაში** ბლად. დამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ[illegible] **შაურად.**

(10—8)

დაიბეჭდა და ისყიდება გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში „მეთოდიური სახელმძღვანელო სამშობლო ენის შესასწავლებლად“, შედგენილი ა. ნათაძისაგან. ფასი 20 კაპეიკი


Дозволено цензурою Тифлисъ 19 іюня, 1886 года. სტამბა. გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.